ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 84

29 მარტი
"___" _____ 2019 წ.

ქ. თბილისი

,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის № 424 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და აღნაგობის პირობების დარღვევის გამო შპს ,,კასს პარკინგი"-სთვის (ს/ნ 404497399) დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის ,,დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ.თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ"-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ნოემბრის N 424 განკარგულებაში და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. შეთანხმდეს აღნაგობის უფლების წლიური საზღაური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით (აღნაგობის საერთო ვადის განმავლობაში).

2. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას:

ა) ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034)

შპს „ი.დ.ლ“-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის №61.011731710 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების“ მე-17 მუხლის 17.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების მე-14 მუხლის შესაბამისად 1000 ლარის ოდენობით, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს ,,კასს პარკინგი''-ს (ს/ნ 404497399) გათავისუფლებაზე.

ბ) ,,ქ. თბილისში, მიცკევიჩისა და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე, 2812 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.054) და ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქუჩა, გამყოფ ზოლზე მდებარე 188 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.034) შპს „ი.დ.ლ“-ისთვის (ს/კ: 404497399) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2017 წლის 13 ნოემბრის №61.011731710 ბრძანებაზე თანდართული „აღნაგობის პირობების“ მე-3 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის/დარღვევის გამო, ამავე პირობების მე-13 მუხლის შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს,,კასს პარკინგი''-ს (ს/ნ 404497399) გათავისუფლებაზე.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**